შპს საზოგადოებრივი კოლეჯი
თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

თბილისი

2021 წელი

ჯანდაცვის ორგანიზაციის მიმართულება

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის შესახებ ინფორმაცია

თბილისის N 1 სამედიცინო სასწავლებელი ამჟამად ახორციელებს ჯანდაცვის მოდულურ პროგრამეებს:

1. საექთნო განათლება - მოდულური
2. ფარმაცია სააფთიაქო - მოდულური

თბილისის N 1 სამედიცინო სასწავლებელს ავტორიზაცია მიღებული აქვს 2017 წლის 10 თებერვლის N01 გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით.

მოკლე ისტორია

მიმდინარე წელს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელს 102 წელი შეუსრულდა.

დიდია სასწავლებლის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე; ამ სასწავლო დაწესებულებაში საუკუნის მანძილზე საშუალო სამედიცინო დარგის მრავალი წარმატებული სპეციალისტი აღიზარდა, რომლებიც ემსახურებიან ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს არამარტო საქართველოში, ქვეყნის საზღვრებგარეთაც.

თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი გაიხსნა 1918 წელს, მოწინავე ქართული ინტელიგენციის და ფართო საზოგადოების დიდი მონდომებით და ხალხის ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვანი კერა გახდა.

1921 წლიდან განსაკუთრებით გაიზარდა სხვადასხვა პროფილის საშუალო სამედიცინო პერსონალის მომზადებაში პირველი საფერშლო სკოლის (ამჟამად თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებელი) როლი, სწავლება რუსულ ენაზე წარმოებდა და კურსდამთავრებულებს ენიჭებოდა ფერშლის, ფარმაცევტის და მედიცინის დის (მედდის) წოდება.

ამაჟამად თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებელი გასცემს ოქროვან, სახელმწიფო პროფესიულ დიპლომს.
დიპლომის ფოტო

სასწავლო დაწესებულება ფუნქციონირებს ეროვნული სტანდარტებით აშენებულ შენობაში სადაც არის ყველა პირობა იმისათვის, რომ მომზადდეს კვალიფიციური კადრები და შეავსოს ჯანდაცვის სფეროს შრომის ბაზარი კვალიფიციური კონტიგენტით.

თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებელი ამზადებს სამედიცინო კადრებს მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე საექთნო განათლება/ Nursing , და ფარმაცია (სააფთიაქო) /Pharmacy.

საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები შეისწავლიან ავადმყოფის, ან სპეციალური საჭიროების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას, ექიმების და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისათვის დახმარების გაწევას/ასისტირებას, პაციენტების დიაგნოზის დასმის და მკურნალობის დროს. საექთნო საქმის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა : მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში / Fifth Level Vocational Qualification in Nursing

აღნიშნული კვალიფიკაციის ექთნის მოვალეობა ითვალისწინებს: ავადმყოფობის და რეაბილიტაციის პერიოდში პაციენტის ჯანმრთელობის შენარჩუნებას და მოვლას, მოიცავს აგრთვე მოხუცების და სპეციალური საჭიროების მქონე პირების ჯანდაცვას, ქალის მოვლას ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, აგრეთვე ჩვილის მოვლას და დახმარებას მეძუძური დედისთვის.

პროგრამა ითვალისწინებს როგორ თეორიულ, პრაქტიკულ, ასევე ასევე კლინიკური სწავლების კომპონენტსაც.

სასწავლებელი მუდმივად ამყარებს კონტაქტს დამსაქმებლებთან, ვახდენთ პიროვნებისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნების გაცნობას, ვატარებთ კონსულტაციებს თვითდასაქმების, ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებულ საკითხებზე (ვისაც ამის სურვილი გააჩნია).

მრავალი კურსდამთავრებული საქმდება სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში რასაც ასახავს დაწესებულების დასაქმებულ სტუდენტთა ბაზა.

პრაქტიკული სწავლების მენეჯმენტის პროცესი მოიცავს აგრეთვე პოტენციურ და მიმდინარე ვაკანსიების მოძებნას და პროფესიული სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდებას დასაქმებას სტაჟირების გავლის გზით. სასწავლო და კლინიკური პრაქტიკის მოდულების სრულფასოვნად ჩატარება ხორციელდება სასწავლებლის კლინიკურ ბაზებზე, პარტნიორობისათვის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, სადაც ღვაწლმოსილი და მაღალკვალიფიციური პრაქტიკის ინსტრუქტორები ასწავლიან, როგორიცაა:

შპს აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი - პრაქტიკულ სწავლებას ახორციელებს ცენტრის მთავარი ექთანი, საქართველოს ექთნების ასოციაციის პრეზიდენტი, ქეთევან გარსევანიშვილი. https://es-la.facebook.com/MyProfession.gov.ge/videos/ექთანი-ქეთევან-გარსევანიშვილი/1179218115463171.

„სს ევექსის ჰოსპიტლების კლინიკებში“ კლინიკურ პრაქტიკას ეუფლებიან გამოცდილ და პროფესიული სწავლების გამოცდილების მქონე ინსტრუქტორებთან, რომლებიც უშუალოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების ინიცირების ავტორები არიან, სწავლება პრაქტიკულ და კლინიკურ მოდულებზე ხორციელდება შემდეგ კლინიკებში:

1. მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო
2. ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა
3. ტრამვატოლოგიური ჰოსპიტალი
4. ივანე ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი.

წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის კლინიკური მრავალპროფილიანი საავადმყოფოს ბაზაზე ხორციელდება პრაქტიკული სწავლება გამოცდილი ექთნების მიერ ქირურგიულ, რეანიმატოლოგიურ და სხვა განყოფილებებში.

აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის კლინიკაში პრაქტიკულ სწავლებას უძღვება მთავარი ექთანი, პროფესიულ პროგრამაზე სწავლების გამოცდილების მქონე ლელა თელია, რომელიც აგრეთვე ხელს უწყობს სტუდენტების სტაჟირებას შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქველმოქმედო ორგანიზაცია საქართველოს კარიტასთან, რომლის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი აქტიურად მუშაობს საექთნო განათლების განვითარების მიმართულებით. აქ სასწავლებლის პროფესიული სტუდენტები პროფესიონალი პრაქტიკის მენტორების ხელმძღვანელობით გადიან პირველადი გადაუდებელი დახმარების, პალიატიური მოვლის და შინმოვლის მოდულებს.
პარტნიორები პრაქტიკულის წავლების ჩატარებისკუთხით წარმოადგენენპოტენციურ
დამსაქმებლებს.
სასწავლებლის სტუდენტების 20-25% ჯერკიდევ პრაქტიკული სწავლების პერიოდში იღებს შემოთავაზებებს დასაქმების თაობაზე, წინასწარ სტაჟირების გავლის გზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **ფარმაცია (სააფთიაქო)** Pharmacy - ს პრაქტიკული მოდულები ხორციელდება კომპანია „ავერსი ფარმა“ -ს ბაზაზე. რომელიც წარმოადგენს აფთიაქების და კლინიკების უდიდეს ქსელს საქართველოში. აქ პროფესიონალი ფარმაცევტები პროფესიულ პროგრამებზე სწავლების გამოცდილებით ახორციელებენ პრაქტიკულ მოდულებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)
ითვალისწინების წამლების და ადამიანზე მათი გავლენის შესწავლას, მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრირებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს პროფესიული კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღება-განთავსებას, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) მეხუთე დონის კვალიფიკაციის დიპლომის მფლობელ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში, სპეციალურ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტებზე, სამედიცინო და ფარმაცევტული მედიცინის მაღაზიებში.

კომპანია ავერსის ფარმაცევტული ქსელის გარდა, თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებელი ახორციელებს დასაქმებას „ფარმაციის სახლის“ ბაზაზეც, გაფორმებული დასაქმების მემორანდუმის საფუძველზე.

თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებელში ტარდება შეხვედრები სტუდენტების კარიერული ორიენტაციის საკითხებზე, რაც ეხმარება მათ შემდგომი განათლების საჭიროებების იდენტიფიკაციაში.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელის მისის, ხედვა, ღირებულება

მისია

კოლეჯის მისიაა მაღალხარისხიანი, მრავალპროფილიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/საგანმანათლებლო პროგრამების, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების კურსების განხორციელება. თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/მოსარგებლეზე ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა, კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება.

ხედვა

კოლეჯის ხედვაა ვიყოთ განვითარებაზე ორიენტირებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება სამედიცინო დარგში. გრძელვადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, მომხმარებელს შევთავაზოთ მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამებიც. რითაც წვლილს შევიტანთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ღირებულებები

კოლეჯის ღირებულებები კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფს სამართლიანი, ჰუმანური, თანასწორი, კონკურენტუნარიანი, ხელმისაწვდომი, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/მოსარგებლეზე ორინეტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, სადაც ყველას აქვს არჩევანის, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების, თვითგამოხატვის თავისუფლება.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებლის მიერ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებულია მემორანდუმები:

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა
2. შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯი''
3.საქართველოს ბიზნეს აკადემია SBA
4.შპს "არსი" პროფესიული კოლეჯი
5.შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგი"
6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ეტალონი
7.საზოგადოებრივი კოლეჯი გეორგია
8.შპს „ქართულ-ევროპული აკადემია"
9.შპს „ ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯი"
10.შპს ირაკლი ფაღავას სახელობის აკადემია „დასტაქარი"
11.შპს მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრი კომპლექსი „გონი"
12.შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა"
13.შპს „ილია" ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება
14.შპს „ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯი"
15.შპს „ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯი"
16.შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ეკოლოგია და დიზაინი
17.კოლეჯი „ბარაკონი"
18.საზოგადოებრივი კოლეჯი „აღმაშენებელი"
19.სასწავლო უნივერსიტეტი „მასკი" პროფესიული კოლეჯი
20.შპს პროფესიული კოლეჯი „ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი"
21.შპს „ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯი"
22.შპს ინტერბიზნესის აკადემია
23.საზოგადოებრივი კოლეჯი „ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია"
24.საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი"
25.შპს „ბათუმის სამედიცინო-პედაგოგიური კოლეჯი"
26.შპს მ/დ საზოგადოებრივი კოლეჯი მედიკ-ფორტე
27.შპს „ცხუმ-ეგრისის" პროფესიული კოლეჯი

28.ახალციხის პროფესიული კოლეჯი
29.საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის **N1** სამედიცინო სასწავლებელს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან:

1. შპს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო

2. შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიზის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი”

3. შპს „აკადემიკოს ვახტანს ბოჭორიშვილის კლინიკა”

4. სს „ევექსის ჰოსპიტლები”

5. შპს „ავერსი - ფარმა”

6. „საქვემოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -საექთნო განათლება / Nursing (მოდულური)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing.“

პროგრამისკოორდინატორი: ქეთევან გარსევანიშვილი

პროგრამის განმახორციელებელი: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებელი

საექთნო განათლებლის ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. **საექთნო საქმეში** კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ **180 კრედიტი.**

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing.“

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საექთნო და სამეანო საქმე“, კოდი 0913, აღმწერი - “შეისწავლის ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყ ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნ კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენაჩუნებასა და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამეანო საქმე შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარო მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის.”

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის ს

სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა;
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორ
როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამ
და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

- პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულ იქნას არანაკლებ 75 %-ით.
- განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

შეფასების მეთოდი/მეთოდები, რეკომენდაციის სახით, მოცემულია მოდულებში.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბ
საკვალიფიკაციო გამოცდა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy (მოდულური)

I. **სარეგისტრაციო ნომერი** N 09110-3

II. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:**
„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy.“

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ,,ფარმაცია”, კოდი 0916, აღმწერი - ,, შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრიებას.”

III. **კოლეჯის ძირითადი მიზანია:** მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

IV. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

V. **დასაქმების შესაძლებლობები** ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმა
თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სა
ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

VI. **სტრუქტურა, მოდულები**

ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფ
მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით. ჩარჩო დოკუმენტი, ასევე, ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს 3 კრე
მოცულობით.

- **სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის ორი წელი, სრული დატვირთვით.**

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად
2. დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა
3. შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა
4. განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე
5. ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი
6. განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება
7. მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები
8. გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები
9. განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ
10. განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია
11. განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორა
    წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ
12. დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით
გათვალისწინებული კრედიტები. საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებუ
სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა,
კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

REDMI NOTE 9 PRO
MI DUAL CAMERA

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები მოდულურ პროგრამებზე

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით. **არსებობს განმავითარებელი და**

განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის

პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში ან პროგრამის დასრულებამდე. ხოლო წინაპირობის მქონე მოდულების შემთხვევაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და

მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- ✓ საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- ✓ სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- ✓ მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ✓ ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ✓ ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- ✓ საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ✓ ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- ✓ პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- ✓ წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- ✓ არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ✓ ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

მოდულების - **ქართული ენა A2** და **ქართული ენა B1** გავლა სავალდებულოა იმ ჩარიცხული პირებისათვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთათვის ადაპტირებულ სასწავლო გარემოს, შენობაში შესასვლელად არის პანდუსი და ლიფტი, სველი წერტილები ადაპტირებულია, სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ადგილებში გადაადგილება ეტლით მოსარგებლე პირთათვის არ იზღუდება.

შეზღუდული შესაძლებლობისა ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, კოლეჯის დირექტორის მიერ შექმნილი კომისია, შეისწავლის პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგების ფარგლებში, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით, ხოლო კვალიფიკაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წესით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის N 1 სამედიცინო სასწავლებელში პროგრამების შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის, ასევე მასწავლებლების ანკეტირებისა და დამსაქმებელთან თანამშრომლობის საფუძველზე. ხარისხის მართვის სამსახური ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების თავისუფალი აზრის გამოთქმას რათა მათ განცხადებით ან/და ზეპირსიტყვიერად შეატყობინონ სასწავლო პროცესის ხელმძღვანელს საგანმანათლებლო პროგრამაში გამოვლენილ

ხარვეზებზე, სიძნელეებზე თუ სხვა სახის მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლიან პროგრამის წარმატებით განხორციელებას. პროფესიული სტუდენტის სურვილის მიხედვით განცხადება შესაძლებელია იყოს ანონიმური.

ხარისხის მართვის სამსახური თითოეული პროგრამის ციკლის დასრულების შემდეგ ატარებს, როგორც კურსდამთავრებულთა გამოკითხვას ასევე პროგრამაზე ჩარჩენილ პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას ანკეტების შევსების ფორმით, რომლის შინაარსიც განსაზღვრულია ამ გამოკითხვის ბარათების მიხედვით.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის სასწავლებელს გააჩნია კაბინეტ - ლაბორატორიები:

ანატომიის, უცხო ენების, პირველადი სამედიცინო დახმარების, ფარმაკოლოგიის კაბინეტ - ლაბორატორიები, A, B, C - გარემოები, რომლებიც აღჭურვილია ლაბორატორიული ჭურჭელით, ხელსაწყო - იარაღებით, სქემებით, მულაჟებით და სხვადსხვა სახის თვალსაჩინოებით. გარდა ამისა, სტუდენტების განკარგულებაშია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი და სხვა დამხმარე საშუალებები.

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: ქ. თბილისი კედიას ქუჩა N 7

www. medicalschool.ge

E-mail: info@medicalschool.ge

ტელეფონი: 2-34–00–90; 2-34–15–48

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
- ✓ აპლიკანტის პირადობის მოწმობის ასლი (ორიგინალთან ერთად. საბუთების მიღების დასრულებისთანავე ორიგინალი დაუბრუნდება განმცხადებელს);
- ✓ არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - დაბადების მოწმობის ასლი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი (ორიგინალთან ერთად. საბუთების მიღების დასრულებისთანავე ორიგინალი დაუბრუნდება განმცხადებელს) ან/და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის/წარმომადგენლის სათანადო უფლებამოსილებას;
- ✓ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/ასლი ან/და მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ✓ ორი ფერადი ფოტოსურათი **3x4;**